ოქმი:**ო08. 3723298001**

თარიღი:**25/10/2023**

ოქმი № 16

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის სხდომის

2023 წელი, 20 ოქტომბერი

ქ.ოზურგეთი

13:00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე- მუდმივმოქმედი

კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნ. მახარაძე; თ. ტუღუში; ალ.ღლონტი; გ.კილაძე; ბ.კილაძე; ლ.ბიგვავა; გ. ჩავლეშვილი; ლ.კილაძე; ნ. ურუშაძე; პ. კიღურაძე

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: თ. ბაქანიძე

საკითხის თანამოხსნებელმა, მერიის ქონების მართვის განყოფილების უფროსმა თ. ბაქანიძე კომისიის წევრებს გააცნო საპრივატიზაციო ობიექტის შესახებ დეტალური ინფორმაცია. მისი განცხადებით, უძრავი ქონება მდებარეობს ნატანების ადმინისტრაციულ ერთეულში, ე. წ. კაპროვანის ტერიტორიაზე და წარმოადგენს არასასოფლო სამეურნეო დანისნულების მიწის ნაკვეთს.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: თ. ბაქანიძე

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თანამომხსენებლმა თ. ბაქანიძემ აღნიშნა, რომ არსებული ქონება წარმოადგენს მიწის ნაკვეთს, რომელიც შეფასდა სამხარაულის ექსპერტიზის ბიურო მიერ. საწყისი საფასური შეადგენს 73 648

ლარს. როგორც მან განმარტა მერია გეგმავს უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზებას.

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთში მ. კოსტავას ქუჩა N1-ში (ს/კ 26.26.42.003.01.507) მდებარე შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებული 18.4 კვმ. ფართის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: თ. ბაქანიძე

თანამომხსენებელი თ. ბაქანიძის განმარტებით, აღნიშნული ფართი მდებარეობს ადმინისტრაციულ შენობაში. როგოც სხდომაზე აღინიშნა, გათვალისწინებულია ფართის ნატო-ევროკავშირის საინფორმაციო ცნეტრისთვის , 2 წლის ვადით უსასყიდლოდ გადაცემა.

4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ვაკიჯვრის ადმინისტრაციულ ერთეულში (ს/კ 26.21.16.233) მდებარე უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: თ. ბაქანიძე

უძრავი ქონება მდებარეობს ვაკიჯვრის ადმინისტრაციულ ერთეულში, სადაც დაგეგმილია მეტეოროლოგიური და ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურის განთავსება.

კომისიის წევრის ლ. ბიგვავას განცხადებით, ძალიან მნიშვნელოვანია აღნიშნული სადგურის განთავსება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში და მიზანშეწონილა თუ კიდევ რამდენიმე ადგილას მოხდება სადგურის განთავსება, მათ შორის, აღდგება ანასეულის დასახლებაშიც.

5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთის ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონებების (ს.კ. 26.26.47.306, ს.კ. 26.26.47.173, ს.კ. 26.26.01.682, ს.კ. 26.26.47.172, ს.კ. 26.26.47.080, ს.კ. 26.26.01.681, ს.კ. 26.26.46.065, ს.კ. 26.26.01.680, ს.კ. 26.26.55.161, ს.კ. 26.26.47.113, ს.კ. 26.26.47.114, ს.კ. 26.26.47.060) სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: თ. ბაქანიძე

საკითხი ეხება პარკირების ცენტრისთვის, საპარკინგე ადგილების (12 ლოკაცია) გამოყოფას. მიმდინარე პერიოდისათვის სატრანსპორტო საშუალებათ-პარკირების საქმეში არსებული ხარვეზების მოწესრიგება აუცილებელია მუნიციპალიტეტისათვის.პარკირებისათვის გამოყოფილი ადგილების გადაცემა ხდება შპს“ სატრანსპორტო კომპანიისათვის“.პროექტის სრულფასოვანი განხორციელება ხელს შეუწყობს ქალაქის იერ-სახის გაუმჯობესებას,ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მოწესრიგდება ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დაქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა კომისიის დასკვნას, რომელიც დამტკიცდა

11 ხმით. (დასკვნა თან ერთვის)

გადაწყვიტეს:

კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი საკითხები (1,2,3,4,5) წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი